08/04/2019

ილია მეორემ სამღვდელოების წარმომადგენლები დააჯილდოვა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში, ხარების ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ სამღვდელოება დააჯილდოვა.

დეკანოზი თეიმურაზ ბერიშვილი დაჯილდოვდა მეორე ჯვრის ტარების უფლებით. დეკანოზი დიმიტრი დაჯილდოვდა მეორე ჯვრის ტარების უფლებით. დეკანოზი იაკობ სორბილაძე დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით. დეკანოზი აკაკი მეგრელიშვილი დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით. დეკანოზი გიორგი სამსონიძე დაჯილდოვდა გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით. დეკანოზი ბაქარი სოსელია დაჯილდოვდა გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით.

მღვდელ-მონაზონი მიქაელი დოლიძე აყვანილია იღუმენის ხარისხში და დაჯილდოვებულია ოქროს ჯვრის ტარების უფლებით. მღვდელი ალექსანდრე გიორგაძე დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით და აყვანილია დეკანოზის ხარისხში. დეკანოზი სერაფიმე კვინჩია დაჯილდოვებულია ოქროს ჯვრით. მღვდელი სვიმეონი კიკნაველიძე დაჯილდოვებულია ოქროს ჯვრით და აყვანილია დეკანოზის ხარსიხში. მღვდელი მიქაელ არაბიძე დაჯილდვებულია ოქროს ჯვრით და აყვანილია დეკანოზის ხარისხში. მღვდელი იოანე ჟივიძე დაჯილდოვებულია ოქროს ჯვრით და აყვანილია დეკანოზის

ხარისხში. მღვდელი დავით ტატანაშვილი დაჯილდოვებულია ოქროს ჯვრით და აყვანილია დეკანოზის ხარისხში. მღვდელი დავით წულეისკირი დაჯილდოვებულია ოქროს ჯვრით და აყვანილია დეკანოზის ხარისხში. მისმა უწმინდესობამ დღეს ასევე დალოცა საპატრიარქოსთან არსებულ დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი ხოლო მისი წინამძღოლი, მონაზონი თეკლე სიხარულიძე აყვანილია იღუმენის ხარისხში.

(IPN)